

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის განვითარების სტრატეგია
2023-2029 წწ.**

თავი I. შესავალი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარების სტრატეგია (2023-2029 წწ) (შემდგომში - დოკუმენტი) წარმოადგენს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სტრატეგიული განვითარების ხედვას 2023-2029 წლებისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას წარმატებულად გაიროს გზა დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, თავისი მისიის, ღირებულებების და ხედვის შესაბამისად. სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ და საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების სახელმძღვანელო დოკუმენტები. აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში განხილული და მოდიფიცირებული იქნა აკადემიის სტრატეგიული განვითარების ხედვა. დოკუმენტი განსაზღვრავს აკადემიის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მიზნებსა და მათი განხორციელების ინდიკატორებს კონკრეტულ ვადებში. დოკუმენტი ეფუძნება აკადემიის ძირითად ღირებულებებს, ფასეულობებსა და ინტერესებს და აღწერს არსებულ ვითარებას. აკადემიის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს ხედვას ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარებისა და მდგრადობისთვის, რომელიც ეხმარება დაწესებულებას შეესაბამებოდეს თანამედროვე გამოწვევების სწრაფად ცვალებად გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი ხელს უწყობს ორგანიზაციას განსაზღვროს პრიორიტეტები და ეფექტურად გაანაწილოს რესურსები, ჩამოაყალიბოს გეგმის შესრულების მკაფიო და გაზომვადი კრიტერიუმები და თვალი ადევნოს დაწესებულების განვითარებას უწყვეტი შეფასების გზით. დოკუმენტი ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ ინფორმაცია აკადემიის მისწრაფებებისა და განვითარების მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტი ხელს უწყობს აკადემიის განვითარების პროცესში გამოვლენილი ძლიერი მხარეების შენარჩუნებას, შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას, გამოწვევების გადალახვას და საფრთხეების თავიდან არიდებას.

აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწით, უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებზე ორიენტირებით, მაღალკვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებითა და მოზიდვით, პერსონალის კარიერული განვითარების დახვეწილი პოლიტიკით, დამოუკიდებელი დაფინანსების მიღების წყაროებისა და

ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევაზე გამოყოფილი თანხების ზრდით, ასევე საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის გაღრმავებით, ინტერნაციონალიზაციის განვითარებით, ცნობადობის ამაღლებისა და სერვისების გაუმჯობესებით, აკადემია მიზნად ისახავს გახდეს მაღალი დონის, მეტად პრესტიჟული სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის საგანმანათლებლო სივრცეში. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს აკადემიის ხედვას, მისიას, განვითარების პრიორიტეტებსა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას. დოკუმენტი წარმოადგენს გზას აკადემიის პრიორიტეტული მიზნების განსახორციელებლად 2029 წლის ჩათვლით.

თავი II. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი

აკადემიამ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოიყენა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტრატეგიული დაგეგმვის მთავარ ორიენტირად აკადემიის პირადი შემადგენლობის მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:

- ა) ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- ბ) ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავება;
- გ) სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;
- დ) სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ე) გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.



ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი

სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს აკადემიის პირადი შემადგენლობის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას აკადემიის შიდა პროცესების და ხედვის შესახებ. ასევე, ინფორმაციის შეგროვებისათვის

გამოყენებულ იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ტარდება არსებული მდგომარეობის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებს. პირველი ეტაპის ბოლოს ხორციელდება არსებული მდგომარეობის ანალიზის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის მიღება. არსებული მდგომარეობის შესწავლისთვის გამოყენებული იქნა SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზი.

ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავება

არსებული მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით ხდება აკადემიის ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავება. განხორციელდა ინსტიტუციის როლისა და განვითარების ხედვის გააზრება, უმაღლესი განათლების სფეროს ცვალებად მოთხოვნებთან თანხვედრაში მოყვანა, ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან მისი სინქრონიზაცია. პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია აკადემიის მმართველობა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სამხედრო ინსტრუქტორებთან, იუნკერებთან/მსმენელებთან, ზემდგომ ხელმძღვანელობასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით ყალიბდება აკადემიის ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქცია.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება

აკადემიის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სამინისტროს მოთხოვნისა და დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისად, ასევე უმაღლესი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს აკადემიის სტრატეგიული განვითარების მიზნების სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს მათ საჯარო განხილვასა და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული მიზნების საბოლოო ვერსიის შემუშავება და ამოცანების განსაზღვრა/ფორმირება. ამოცანების ფორმირების შემდეგ იწყება საჯარო განხილვების ახალი ციკლი, რომლის შემდეგაც ყალიბდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის ფორმირება. სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის განხილვა ხდება აკადემიის აკადემიურ საბჭოზე, რომელიც შემდგომი დამტკიცების მიზნით ეგზავნება საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

სამოქმედო გეგმის შემუშავება

სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და სამწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის ფორმირება. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ ამოცანის განხორციელებაზე

პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქმიანობის ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებს/ სტრუქტურულ ერთეულებს, ვადებსა და გაზომვად ინდიკატორებს.

შესრულების მონიტორინგის მექანიზმები:

აკადემიის საქმიანობის, აკადემიის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება და მონიტორინგი, ასევე რელევანტურობის განსაზღვრა სისტემური და დისციპლინირებული პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას აკადემიის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური და მონაწილეობითი სისტემა აკადემიის ხელმძღვანელობის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების საშუალებაა. მონიტორინგი ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის. ინფორმაცია აკადემიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ორი ძირითადი პროცესის განხორციელებით - **მონიტორინგი და შეფასება**. მონიტორინგის შედეგად მოწმდება დროთა განმავლობაში მიღწეული პროგრესი. შემდგომ ეტაპზე კი ხდება სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესისა და მიღებული შედეგების მაქსიმალურად ობიექტური შეფასება, აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მონიტორინგის ჯგუფის მიერ. მონიტორინგის მექანიზმები მორგებული უნდა იყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის სპეციფიკას და აუცილებლად მოიცავდეს მონიტორინგის პერიოდულობას, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი რეგულირდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წესით, რომელიც განსაზღვრავს აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს, ზოგად მიდგომებსა და სამუშაო პროცესებს.

თავი III. აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

1. აკადემიის მისია

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიას წარმოადგენს ქვეყნისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემისთვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის, ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსისა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი

კადრების მომზადება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მეშვეობით.

2. აკადემიის ხედვა


დემოკრატიული, ძლიერი და წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს უზრუნველყოფა ეროვნული ფასეულობების, ღირებულებების, ლიდერისათვის დამახასიათებელი აუცილებელი უნარ-ჩვევების, საუკეთესო სამხედრო და აკადემიური განათლების მქონე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოფიცერთა შემადგენლობით.

3. აკადემიის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- ა) სამშობლო;
- ბ) ღირსება;
- გ) ერთგულება;
- დ) სიმამაცე;
- ე) პატივისცემა;
- ვ) პატიოსნება;
- ზ) უანგარო სამსახური;
- თ) მოვალეობის შესრულება.

თავი IV. არსებული მდგომარეობის ანალიზი

1. აკადემიის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სქემის მიხედვით:



2. არსებული მდგომარეობის აღწერა

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია საქართველოში 1918 წლიდან - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული პერსონალის მომზადების საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის და ეროვნული საბჭოს მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა“, რომლის თანახმად, იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით, სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან, აკადემია ქალაქ გორში განლაგდა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავდროულად, სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. აკადემიის მინიჭებული აქვს სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის სასწავლო ბატალიონის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივისაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ.

აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღებისა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის საჭირო გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, ენობრივი მომზადების განყოფილება, სამეცნიერო-კვლევითი და დისტანციური სწავლების ცენტრები,

სწავლებების მხარდამჭერი ცენტრი, საგამოცდო ცენტრი, სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება.

აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, როგორც სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე სამხედრო სწავლებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი. გარდა ამისა, აკადემიაში მიმდინარეობს უცხოური ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) და ქართული ენის (ეთნიკური უმცირესობებისთვის) სწავლება.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/მსმენელები (გარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელისა) და პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით.

აკადემიას უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგრამები აკადემიის იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის (გარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელისა) და პერსონალისთვის.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- აშშ ჩრდილოეთ ჯორჯიის უნივერსიტეტი
- ლატვიის თავდაცვის აკადემია
- პოლონეთის თავდაცვის უნივერსიტეტი
- გენერალ იონას ზემაიტისის სახელობის ლიეტუვის სამხედრო აკადემია
- გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის აკადემია
- ესტონეთის თავდაცვის კოლეჯი
- ბალტიის თავდაცვის კოლეჯი
- ნორვეგიის თავდაცვის უნივერსიტეტი
- შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტი
- რუმინეთის ნიკოლაე ბალჩესკუს სახელობის სახმელეთო ძალების აკადემია
- ბულგარეთის რაკოვსკის ეროვნული თავდაცვის კოლეჯი
- ჩეხეთის თავდაცვის უნივერსიტეტი

აკადემიის იუნკერები სრულ საბაკალავრო პროგრამებზე სწავლობენ შემდეგ უნივერსიტეტებში:

- აშშ-ს საჰაერო ძალების აკადემია
- აშშ-ს სამხედრო აკადემია (West Point)
- აშშ-ს საზღვაო ძალების აკადემია
- თურქეთის სახმელეთო ძალების სასწავლებელი
- თურქეთის საჰაერო ძალების სასწავლებელი
- საფრანგეთის სენ-სირის სპეციალური სამხედრო სკოლა

აკადემია ჩართულია „Erasmus+“-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებშიც და ამ მიმართულებით სისტემატურად თანამშრომლობს რუმინეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის სამხედრო აკადემიებთან და უნგრეთის საჯარო სამსახურის ეროვნულ უნივერსიტეტთან.

აკადემია 2013 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (DEEP). აკადემიასა და DEEP-ს შორის გაფორმებულია სამოქმედო გეგმა, რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად აკადემიის პრიორიტეტებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშული თანამშრომლობის ფარგლებში მხარდაჭერა მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების/კურიკულუმების დახვეწას, პროფესორ-მასწავლებლების და ინსტრუქტორების გადამზადებას, იუნკერთა/მსმენელთა მხარდაჭერას, სწავლის მეთოდოლოგიის განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

აკადემიაში სწავლის საფასურს და შემდგომ დასაქმებას უზრუნველყოფს სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნკერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია საქართველოს თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ოდენობის შესაბამისად.

3. თანამედროვე გამოწვევები

აკადემია, როგორც სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად დგას გამოწვევების წინაშე. აკადემიის მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უპირველეს მიზანს წარმოადგენს, აკადემიის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის უზრუნველყოფა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებთან. ასევე, იუნკერებისთვის/მსმენელებისათვის ისეთი სახის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემა, რაც დააკმაყოფილებს სამინისტროს სისტემაში არსებულ საჭიროებებს. გარდა ამისა, აკადემია მუდმივად უნდა იყოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მოთხოვნებთან თანხვედრაში.

თანამედროვე მსოფლიოში სწრაფი ცვლილებების ფონზე დღის წესრიგში დგება უმაღლესი განათლების წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების იდენტიფიცირება. გამოწვევების კვალდაკვალ, აკადემია გეგმავს კურიკულუმების გადახედვას, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას. ტექნოლოგიური გამოწვევების თვალსაზრისით, აკადემია გააგრძელებს იუნკერთა/მსმენელთა და აკადემიის პირადი შემადგენლობის ციფრული უნარების გამომუშავებისა და განვითარების ხელშეწყობას. ეს გულისხმობს სწავლებისა და მართვის ელექტრონული სისტემების აქტიურ გამოყენებას, დისტანციური სწავლებისა და შეფასების მეთოდების და ღია საგანმანათლებლო რესურსების ათვისებას. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, აკადემია გააძლიერებს პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო მობილობისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი ხარისხის განათლების პროგრამების შექმნა და განვითარება, რომლებიც ითვალისწინებენ პროფესიების მიმდინარე ტენდენციებს, ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან მნიშვნელოვნად გააძლიერებს აკადემიას ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. აკადემიის ცნობადობის გაზრდისა და მისდამი ნდობის ამაღლების მიზნით, დაწესებულება გეგმავს სამიზნე ჯგუფების ეფექტიან ინფორმირებას მისი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების, სამიზნე ჯგუფების მიერ აკადემიის საქმიანობის შეფასების მექანიზმების დანერგვით, წარმატებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმოჩენით, ახალი თუ მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციით. აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებასა და ნდობის ამაღლებას.

4. აკადემიის პასუხისმგებლობის სფერო

აკადემია პასუხისმგებელია ოფიცრის საწყისი და აკადემიური უმაღლესი განათლების მიღებისათვის საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

სამხედრო და აკადემიური განათლების ინტეგრირება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აკადემიის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ჰქონდეს თვითრეალიზება მოახდინოს როგორც თავდაცვის, ასევე უსაფრთხოების სექტორში. სამხედრო განათლების ძირითადი დანიშნულებაა, უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების მომზადება.

აკადემიის ენობრივი მომზადების განყოფილება უზრუნველყოფს აკადემიაში უცხო ენების სწავლებას, ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელებას, რათა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას სამინისტროს სისტემაში. გარდა ამისა, ენობრივი მომზადების განყოფილება აქტიურად მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში.

5. ოფიცერთა პროფესიული აღზრდის ფასეულობები:

ა) საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, აკადემიის, როგორც სამხედრო განათლების ქვაკუთხედის ფუნქციას და უმთავრეს დანიშნულებას მაღალკვალიფიციური, ღირსეული და პროფესიონალი ოფიცერთა კორპუსის მომზადება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აკადემია ზრუნავს იუნკერს/მსმენელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლება, ეფექტური სწავლისა და სწავლების კონცეფციის გამოყენებით განავითაროს მათი თეორიული ცოდნა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს სამხედრო მოსამსახურის კარიერულ განვითარებას;

ბ) ოფიცერთა პროფესიული აღზრდა ეფუძნება:

ბ.ა) მორალურ, ეთიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას;

ბ.ბ) ფიზიკურ აღზრდასა და სოციალური უნარების გამომუშავებას;

ბ.გ) აკადემიურ კეთილსინდისიერებას;

ბ.დ) სამხედრო ლიდერად განვითარებას.

6. აკადემიის SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში;
- მოქმედი ავტორიზაციის/აკრედიტაციის/ნატოს სტანდარტების შესაბამისი აკადემიური უმაღლესი/სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამები
- იუნკერთა/მსმენელთა სერვისები;
- უცხოელ ექსპერტებთან აქტიური თანამშრომლობა (გარე შეფასება/გამოცდილების გაზიარება, ლექციების ჩატარება);
- ნატო-ს თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის ფარგლებში (NATO DEEP) მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა;
- უცხო ენების შესწავლის ინტენსიური სასწავლო კურსები/საგანმანათლებლო პროგრამები;
- პარტნიორი ქვეყნების სასწავლებლებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტები;
- სწავლის შემდგომი დასაქმების გარანტია;
- სწავლის სრული დაფინანსება;
- საუკეთესო ინფრასტრუქტურა (ქ. გორი);
- სამედიცინო დაზღვევა;
- ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი;
- სტიპენდია;
- აკადემიური კეთილსინდისიერების მოქმედი პოლიტიკა;
- სასწავლო პროცესის მხარდაჭერი ელექტრონული სისტემა;
- ფიზიკური და სამხედრო მომზადება;
- დისციპლინის მაღალი ხარისხი;
- მაღალი ორგანიზაციული კულტურა.

შესაძლებლობები

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის მხარდაჭერა საქმიანობის განხორციელებაში;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნაზე ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება;
- დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება;
- უცხოელი და ადგილობრივი მოწვეული ლექტორების/სპიკერების არსებობა;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვითარების შესაძლებლობა;
- კომერციული პროექტების განხორციელების შესაძლებლობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო და სერვისების არსებობა;
- ამოცანით მართვის პრინციპების სწავლება;
- უცხო ენების სწავლების შესაძლებლობების განვითარება;
- საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განვითარების შესაძლებლობა;
- ფიზიკური მომზადება/სპორტული ღონისძიებები;
- აკადემიის სამხედრო მუზეუმი;
- სოციალური პაკეტების გაუმჯობესება;
- ბიუჯეტის ზრდა;
- სტიპენდიის ზრდა.

სუსტი მხარეები

- კვალიფიციური აკადემიური/დამხმარე პერსონალის შენარჩუნებისა და მოზიდვის პრობლემა;
- აკადემიაში ჩაბარების მსურველთა კლებადი დინამიკა;
- პერსონალის კარიერული განვითარების დასახვეწი პოლიტიკა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით სივრცეში აქტივობის დაბალი დონე;
- არასაკმარისი დამოუკიდებელი დაფინანსების მიღების წყაროები;
- ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევაზე გამოყოფილი თანხების ნაკლებობა.

საფრთხეები

- აკადემიაში ჩარიცხვის მსურველთა შესაძლო კლების ტენდენცია;
- აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტების შეუსაბამობა;
- ფორსმაჟორული სიტუაციები (პანდემიური მდგომარეობა, ბუნებრივი კატაკლიზმები, საომარი მდგომარეობა და ა.შ.).

თავი V. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

აკადემია მისი მისიიდან, ხედვიდან და არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე 2023 - 2029 წლებისთვის ისახავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

- ა) ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრების მომზადება;
- ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება (სამხედრო/აკადემიური);
- გ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა;
- დ) დისტანციური სწავლების განვითარება;
- ე) ინტერნაციონალიზაცია;
- ვ) აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება;
- ზ) ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის განვითარება;
- თ) იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განვითარება.

ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრების მომზადება

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. სამხედრო მომზადების დონის ამაღლება	1.1: სამხედრო საქმის შესწავლის ხარისხის გაუმჯობესება	1.1.1: იუნკერს/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელს გააჩნია ცოდნა და უნარი დაგეგმოს ათეული და ოცეულის დონის ოპერაციები
	1.2: სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება	1.2.1: იუნკერი/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელი იყენებს ინდივიდუალურ და მცირე ზომის ქვედანაყოფის შემადგენლობაში სამხედრო უნარ-ჩვევებს
N2. ლიდერის თვისებების განვითარება	2.1: ლიდერად ჩამოყალიბების პროგრამის განვითარება	2.1.1: იუნკერს/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელს შესწევს უნარი მართოს მცირე ზომის ქვედანაყოფი და კომპეტენციის

		<p>ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები</p> <p>2.2: კრიტიკული აზროვნების გამომუშავება</p> <p>2.2.1: იუნკერს/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელს შეუძლია მიღებული ინფორმაციის ანალიზი და კრიტიკული აზროვნება</p>
<p>N3. ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება</p>	<p>3.1: საერთო ფიზიკური მომზადების განვითარება</p>	<p>3.1.1: იუნკერები/ უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელები მზად არიან სამხედრო, ფიზიკურ მომზადებაზე გადასასვლელად, აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს (ნორმატივები)</p>
	<p>3.2: სამხედრო ფიზიკური მომზადების განვითარება</p>	<p>3.2.1: იუნკერების/ უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელების მიერ სამხედრო ფიზიკური მომზადების დადგენილი ნორმატივები დაკმაყოფილებულია</p> <p>3.2.2: იუნკერების/ უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელების მიერ საველე-პრაქტიკულ სწავლებებზე დავალებების შესრულება ხორციელდება სტანდარტების შესაბამისად</p> <p>იუნკერების/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელების ფიზიკური მომზადების შედეგები</p>

		გაუმჯობესებულია
	3.3: ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება უცხოელ პარტნიორებთან	3.3.1: განხორციელდა სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახურის ინსტრუქტორების გადამზადება 3.3.2: ინსტრუქტორები აკადემიაში იყენებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას აკადემიის იუნკერების/მსმენელების მომზადებაში
	3.4: სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	3.4.1: სატრენაჟორო დარბაზი ინვენტარით დაკომპლექტებულია, საფეხბურთო მოედანი მოწყობილია, სამხედრო ფიზიკური მომზადებისთვის საწვრთნელი პირობები-ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია
	3.5: სპორტული აქტივობების ინტენსიფიკაცია	3.5.1: აკადემიის იუნკერები/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება (სამხედრო/აკადემიური)

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. აკადემიის სამხედრო/აკადემიური და სხვა პროგრამების განვითარება	1.1: პროგრამების მუდმივი განახლება/განვითარება/შეფასება ა არსებული სიახლეების შესაბამისად	1.1.1: აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს სამინისტროს სისტემის

		მოთხოვნებს (შრომის ბაზარი)
	1.2: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება	1.2.1: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს
	1.3: ხარისხის გარე მექანიზმების განვითარება	1.3.1: განვითარებულია/ გაუმჯობესებულია ხარისხის გარე შეფასების მექანიზმები
	1.4: სპეციალური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/სტანდარტების დაკმაყოფილება	1.4.1: აკადემიის სპეციალური, პროფესიული პროგრამები აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებსა და საჭიროებებს
	1.5: პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა	1.5.1: ტრენინგების უზრუნველყოფა და ჩატარება
	1.6: აკადემიური სასწავლო სივრცის თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვა	1.6.1: სასწავლო სივრცე აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით
	1.7: ბიბლიოთეკის განვითარება	1.7.1: დახვეწილია ბიბლიოთეკის მუშაობის სისტემა, განახლებულია წიგნადი ფონდი 1.7.2: განახლებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა
	1.8: ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროგრამის გარე აქტივობების შეთავაზება იუნკერისთვის/	1.8.1: აკადემიის იუნკერები / უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის/მაგისტრატურის

	უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის/მაგისტრატურის მსმენელისთვის	მსმენელები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოში და უცხოეთში განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებში
N2: NATO-ს ინსტიტუციური აკრედიტაციის მოპოვება	2.1: პერსონალის გადამზადება	2.1.1: გადამზადებულია პერსონალი NATO-ს აკრედიტაციის სტანდარტების შესახებ
	2.2: NATO-ს აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით კურსის სერტიფიცირებისთვის მზადება და მისი წარდგენა	2.2.1: NATO-ს აკრედიტაციის მიღების მიზნით მომზადებულია და წარდგენილია კურსი
	2.3: NATO-ს აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით NATO-ს აკრედიტაციის მოპოვების მიზნით სრული დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა	2.3.1: NATO-ს აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით NATO-ს აკრედიტაციის მოპოვების მიზნით მომზადებულია და წარდგენილია დოკუმენტაცია
	2.4: NATO-ს აკრედიტაციის შენარჩუნება	2.4.1: შენარჩუნებულია NATO-ს აკრედიტაციის სტატუსი
N3. ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება	3.1: აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერება	3.1.1: აკადემიაში გაძლიერებულია ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი
	3.2: ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილებაში მიმდინარე სწავლების განვითარება	3.2.1: გაუმჯობესებულია პედაგოგების მომზადების დონე და შენარჩუნებულია კვალიფიციური პერსონალის რაოდენობა 3.2.2: პროგრამა თავსებადია

		სამინისტროს ამოცანებთან 3.2.3: დანერგილია მოკლევადიანი დისტანციური სწავლების კურსები
--	--	--

გ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა-განვითარება	1.1: სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	1.1.1: გაზრდილია აკადემიის მიერ განხორციელებული კვლევების რაოდენობა
	1.2: კვლევითი პროცესის წახალისება/ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა	1.2.1: გაზრდილია კვლევების რაოდენობა ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობით
	1.3: ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობა	1.3.1: გაზრდილია აკადემიის მიერ მოპოვებული გრანტების და განხორციელებული კვლევების რაოდენობა
N2. სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიის ცნობადობის გაზრდა	2.1: პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა	2.1.1: გაზრდილია პარტნიორი ორგანიზაციებისა და განხორციელებული კვლევების რაოდენობა
	2.2: კონფერენციების ჩატარება	2.2.1: გაზრდილია აკადემიის მიერ ჩატარებული კონფერენციებისა და კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობა

დ) დისტანციური სწავლების განვითარება

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა	1.1: სასწავლო პლატფორმების ადმინისტრირება	1.1.1: გაუმჯობესებულია სასწავლო პლატფორმის კონტროლი და კოორდინაცია სასწავლო კურსების განმახორციელებელ პირებთან
	1.2: ელექტრონული სისტემების გამართულობის უზრუნველყოფა	1.2.1: გაუმჯობესებულია ელექტრონული სასწავლო პლატფორმების ოპერაციული სისტემები და სერვერები
	1.3: აკადემიის თანამშრომლებისთვის ციფრული უნარების განვითარება	1.3.1: შესაბამისი პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია წინასწარ შერჩეული სამიზნე აუდიტორია
	1.4: ციფრული სასწავლო მასალების შექმნა	1.4.1: შექმნილია ვიდეორგოლები, ანიმაციები და სიმულაციური სავარჯიშოები
N2. დისტანციური კურსების დანერგვა	2.1: კურსების შექმნა თავდაცვის სამინისტროს/თავდაცვის ძალებისთვის	2.1.1: კვლევების საფუძველზე გამოკვეთილია და შექმნილია დისტანციური კურსები
	2.2: კურსების განხორციელება	2.2.1: თანამედროვე მეთოდების გამოყენებით განხორციელებულია დისტანციური კურსები
	2.3: ფასიანი კურსების დანერგვა	2.3.1: შემუშავებულია და განხორციელებულია ფასიანი კურსები
N3: საერთაშორისო	3.1: ნატოს პროექტებში	3.1.1: გაზრდილია ნატოს

გამოცდილების გაზიარება და პროფესიული განვითარება	მონაწილეობის მიღება	პროექტებში მონაწილეობის მიღება
	3.2: საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება	3.2.1: გაზრდილია საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება
N4: ცენტრის პროგრამული, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	4.1: პროგრამული უზრუნველყოფა	4.1.1: განახლებულია ელექტრონული პროგრამები
	4.2 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	4.2.1: განახლებულია ვიდეო ლაბორატორიის და სინქრონული თარგმნის ოთახის ელექტრონული ტექნიკა/აღჭურვილობა

ე) ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება	1.1: ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გააქტიურების ხელშეწყობა და ახალი კავშირების დამყარება	1.1.1: გაზრდილია ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების და გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა
	1.2: აკადემიის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერა	
	1.3: პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების გაფორმება	
N2. საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია	2.1: იუნკერთა/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელთა მონაწილეობის ხელშეწყობა ორმხრივი და მრავალმხრივი	2.1.1: საერთაშორისო აქტივობებში იუნკერთა, მსმენელთა, აკადემიური და ადმინისტრაციული

	თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებულ საერთაშორისო აქტივობებში	პერსონალის და სამხედრო ინსტრუქტორების ჩართულობის ზრდა
<p>N3: NATO-სა და Erasmus +ის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში აკადემიის პირადი შემადგენლობის მონაწილეობის ხელშეწყობა</p>	<p>2.2: აკადემიის პირადი შემადგენლობის საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა</p>	
	<p>3.1: NATO-ს თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) ფარგლებში ექსპერტების/სპეციალისტების მიერ გამოცდილების გაზიარება</p>	<p>3.1.1: გაზრდილია NATO-ს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა</p>
	<p>3.2 NATO-ს თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამაში (DEEP) ჩართულობის ინტენსიფიკაცია</p>	<p>3.2.1: NATO-ს წარმომადგენლები ინტენსიურად მონაწილეობენ დაგეგმილი ღონისძიების განხორციელებაში და აკადემიის პროგრამების გარე ექსპერტიზაში</p>
	<p>3.3: ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამაში (PDP) აკადემიის აქტიური მონაწილეობა</p>	<p>3.3.1: აკადემია ჩართულია ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP)- ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში, აკადემიის პერსონალი გადამზადებულია</p>
<p>N4: სამაგისტრო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია</p>	<p>3.4: თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან Erasmus+ პროგრამის ფარგლებში</p>	<p>3.4.1: Erasmus+ პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა შენარჩუნებულია</p>
	<p>4.1: საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა</p>	<p>4.1.1: გაზრდილია საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტები და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა</p>
	<p>4.2: საერთაშორისო კვლევით აქტივობებში მაგისტრატურის ჩართულობა</p>	<p>4.2.1: მაგისტრატურის პირადი შემადგენლობის რაოდენობის ზრდა</p>

		საერთაშორისო კვლევით აქტივობებში
--	--	----------------------------------

ვ) აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. აკადემიის ზოგადი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება	1.1: აკადემიის ცნობადობის გაზრდა	1.1.1: აკადემიის ცნობადობა გაზრდილია მედია სივრცეში და სოციალურ ქსელებში
	1.2: აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება	1.2.1: საზოგადოება ინფორმირებულია აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ
N2. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის	2.1: მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან	2.1.1: სახელმწიფო უწყებებთან ერთობლივი ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა
	2.2: აკადემიის ინტერნეტ და მედია სივრცეში პოპულარიზაცია	2.2.1: გაზრდილია აკადემიის სოციალური ქსელების მომხმარებელთა/გამომწერთა რაოდენობა

ზ) ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის განვითარება

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. ადამიანური რესურსების განვითარება	1.1: ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის განხორციელება	1.1.1: აკადემიაში დამტკიცებულია და სრულდება ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკა
	1.2: პირადი შემაღგენლობის	1.2.1: განახლებულია

	კონტინგენტის დაგეგმვა	საშტატო ნუსხა
	1.3: აკადემიის პირადი შემადგენლობის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	1.3.1: აკადემიის პირადი შემადგენლობა სარგებლობს პროფესიული განვითარების ხელშეწყობით
	1.4: მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა/შენარჩუნება	1.4.1: აკადემიაში შენარჩუნებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი
N2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება	2.1: ინფრასტრუქტურის დაგეგმარება	2.1.1: დამტკიცებულია აკადემიის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა
	2.2: აკადემიის ინფრასტრუქტურის განვითარება	2.2.1: აკადემიის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია
	2.3: ავტოპარკის განახლება	2.3.1: აკადემიის ავტოპარკი განახლებულია
	2.4: ტექნიკის განახლება	2.4.1: აკადემიის ტექნიკა განახლებულია
N3. ფინანსური რესურსების განვითარება	3.1: საკუთარი სახსრების გაზრდა	3.1.1: გაზრდილია აკადემიის ფინანსური სახსრები

თ) იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განვითარება

ამოცანა	ქვეამოცანა	ინდიკატორი
N1. იუნკერთა/მსმენელთა ფინანსური, სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფა	1.1: იუნკერთა/მსმენელთა ფინანსური უზრუნველყოფა	1.1.1: იუნკერთა/მსმენელთა სტიპენდია/ხელფასი გაიცემა ყოველთვიურად
	1.2: ფინანსური დახმარებების გაცემა	1.2.1: იუნკერები/მსმენელები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე იღებენ ფინანსურ დახმარებებს სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის ანდა ოჯახური პირობების გამო
	1.3: იუნკერთა/მსმენელთა	1.3.1: იუნკერები/მსმენელები

	კვებითი, სანივთე ქონებით და განთავსებით უზრუნველყოფა	უზრუნველყოფილი არიან კვებითი და სანივთე საშუალებებით
N2. სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა	2.1: აკადემიის პირადი შემადგენლობის სამედიცინო მომსახურება	2.1.1: აკადემიის პირადი შემადგენლობის, იუნკერების/ მსმენელების უწყვეტი სამედიცინო დახმარება, საგანმანათლებლო პროგრამების სამედიცინო მხარდაჭერა უზრუნველყოფილია
	2.2: აკადემიის ლაზარეთის მიერ იუნკერთა/მსმენელთა სამედიცინო დახმარების მუდმივი და უწყვეტი უზრუნველყოფა	
	2.3: აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების და ღონისძიებების სამედიცინო მხარდაჭერა	
N3. იუნკერთა/მსმენელთა განვითარების მხარდაჭერა	3.1: იუნკერთა/მსმენელთა საკონსულტაციო სერვისის გაუმჯობესება	3.1.1: გაუმჯობესდა იუნკერთა/მსმენელთა საკონსულტაციო სერვისი
	3.2: იუნკერთა/მსმენელთა ნოუტბუქებით/პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფა	3.2.1: ყველა იუნკერს/მსმენელს, როგორც სწავლის პროცესში ისე სწავლის დასრულების შემდგომ აქვთ ინდივიდუალური ნოუტბუქი
	3.3: საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული, გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების განხორციელება და მათში იუნკერთა/მსმენელთა ჩართულობის ხელშეწყობა	3.3.1: იუნკერები/მსმენელები აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო, სპორტულ, კულტურულ, გარემოსდაცვით და სოციალურ ღონისძიებებში
	3.4: დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები	3.4.1: იუნკერების/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის მსმენელების 100% დასაქმებულია

თავი VI სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის განვითარების სტრატეგიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული მიზანი N1. ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრების მომზადება

ამოცანა	ქვეამოცანა	აქტივობა	ინდიკატორი	პასუხ. უწყება	ვადები და ბიუჯეტი						დაფინანს. წყარო	რისკები
					2023				2024	2025		
					I	II	III	IV				
					1,281,637 .00	1,275,637 .00	1,275,637 .00	1,275,637 .00	5,613,078 .00	6,152,317 .00		
ამოცანა N1: სამხედრო მომზადებ ის დონის ამაღლება	ქვეამოცანა 1.1: სამხედრო საქმის შესწავლის ხარისხის გაუმჯობესება	აქტივობა 1.1.1: სამხედრო საქმის სილაბუსების განახლება	სილაბუსი და გეგმა- კალენდარი	იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა.							ეროვნუ ლი თავდაც ვის აკადემი ის ბიუჯეტ ი	1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თვის საჭირო სასწავლო, მატერიალურ- ტექნიკური საშუალებების და ლაბორატორიუ ლი მარაგების, დაზიანება და სიმულაციური საშუალებების, თანამედროვე ტექნოლოგიები ს მწყობრიდან გამოსვლა. 2. კვალიფიციური პერსონალის გადიანება. 3. მეზღუდული ხილვადობის
		აქტივობა 1.1.2: მეზღუდული ხილვადობის პირობებში პრაქტიკული მეცადინეობების დაგეგმვა, განხორციელების გაზრდა	სილაბუსი და გეგმა- კალენდარი	იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა.								
		აქტივობა 1.1.3: სამხედრო მომზადებაში თეორიული კომპონენტის შემცირება და პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა	სილაბუსი და გეგმა- კალენდარი	იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა.								

		1.1.10: რეზერვის ოფიცერთა მომზადების პროგრამის განხორციელება	აკადემიური საბჭოს დადგენილება, დამტკიცებული პროგრამა	უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა								
	ქვემოცანა 1.2: სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება	აქტივობა 1.2.1: მუდმივი განლაგების ადგილზე პრაქტიკული სავარჯიშოების ჩატარებისთვის შესაბამისი გარემო-საშუალებების მომზადება (სასწავლო-პრაქტიკული სივრცეების შექმნა ბაზაზე).	მოხსენებითი ბარათები, საჭირო საშუალებების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღწერის დოკუმენტაცია	იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა							ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	
		აქტივობა 1.2.2: საველე სწავლებების სიმულაციური საშუალებებით უზრუნველყოფა	აღჭურვილობის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოხსენებითი ბარათები, აღწერის დოკუმენტაცია									
		აქტივობა 1.2.3: პრაქტიკული სავარჯიშოების და საველე სწავლებების თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	მოხსენებითი ბარათები, საჭირო საშუალებების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია									
		აქტივობა 1.2.4: საველე მომზადებაში მოქმედი სამხედროების ჩართვა-ერთობლივი სწავლებების ორგანიზება	სწავლებლების შესახებ ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები, ფოტო მასალა									
ამოცანა N2: ლიდერის თვისებების განვითარება	ქვემოცანა 2.1: ლიდერად ჩამოყალიბების პროგრამის განვითარება	აქტივობა 2.1.1: იუნკერთა/მსმენელთა სხვადასხვა დონის სამეთაურო თანამდებობებზე განაწილება, როტაცია, შეფასება	ლიდერად ჩამოყალიბების სისტემა. შეფასების დოკუმენტი, ბრძანება	იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა							ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	1. კვალიფიციური ინსტრუქტორების შემცირება. 2. ინსტრუქტორთა პროფესიული

		<p>აქტივობა 2.1.8: მოქმედების შემდგომი განხილვის ჩატარება და შედეგების ანალიზი</p>	<p>ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოქმედების შემდგომი მიმოხილვის დოკუმენტი</p>									
		<p>აქტივობა 2.1.9: სწავლების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა</p>	<p>აღრიცხვის დოკუმენტაცია</p>									
	<p>ქვემოცანა 2.2 კრიტიკული აზროვნების გაძლიერება</p>	<p>აქტივობა 2.2.1: კრიტიკული აზროვნების სასწავლო პროცესში ინტეგრირება</p>	<p>კრიტიკული აზროვნების სილაბუსი</p>	<p>იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, ბაკალავრიატი</p>							<p>ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი</p>	
		<p>აქტივობა 2.2.2: სხვადასხვა სცენარების შემუშავება და სასწავლო პროცესზე მორგება</p>	<p>მოსხენებითი ბარათი, ბრძანება, სილაბუსი/პროგრამა</p>									
		<p>აქტივობა 2.2.3: შეფასების ახალი ფორმების შემუშავება, პილოტირება და პრაქტიკაში დანერგვა</p>	<p>შეფასების ფორმები, საპილოტე პროგრამის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ბრძანება</p>									
<p>ამოცანა N3: ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება</p>	<p>ქვემოცანა 3.1: საერთო ფიზიკური მომზადების განვითარება</p>	<p>აქტივობა 3.1.1: სამხედრო უნარების შეჯიბრისთვის მომზადება, მონაწილეობა</p>	<p>ბრძანება, მომზადების გეგმა</p>	<p>იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, ფიზიკური მომზადების განყოფილება, უმცროს ოფიცერთა</p>							<p>ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი</p>	<p>1. ფიზიკური მომზადების დროს ვარჯიშების სისტემატურობის დარღვევა. 2.</p>

		აქტივობა 3.1.2: საერთო ფიზიკური მომზადების ინდივიდუალური (სპეციალური) პროგრამების შემუშავება/განხორციელება	შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამა, ბრძანებები	მომზადების სკოლა								კვალიფიციური ინსტრუქტორების ნაკლებობა. 3. ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი სპეციფიკის ტრენინგების სიმცირე.
ქვემოთაა 3.2: სამხედრო ფიზიკური მომზადების განვითარება		აქტივობა 3.2.1: ფიზიკური მომზადების განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება-განხორციელება	დამტკიცებული პროგრამა/ფიზიკური მომზადების განვითარების გრძელვადიანი გეგმა, ბრძანება	ფიზიკური მომზადების განყოფილება, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა							ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	4. სპორტული აქტივობების დროს მიღებული ტრავმები.
		აქტივობა 3.2.2: დაბრკოლებათა ზოლის გადალახვის ჩატარების განრიგის და გეგმის მომზადება და განხორციელება	განრიგი, პროგრამა									
		აქტივობა 3.2.3: სავალდებულო სწავლებისთვის სამხედრო ფიზიკური მომზადება	შედეგების სტატისტიკური მონაცემები, ბრძანებები									
ქვემოთაა 3.3: ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება უცხოელ პარტნიორებთან		აქტივობა 3.3.1: აკადემიის ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორების გადამზადება	გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოხსენებითი ბარათი ფოტო მასალა, ბრძანება	ფიზიკური მომზადების განყოფილება							ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	

		<p>აქტივობა 3.3.2: სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა</p>	<p>მოხსენებითი ბარათი, ბრძანება, წერილი</p>	<p>ფიზიკური მომზადების განყოფილება , საზოგადოება სთნ ურთიერთობის სამსახური</p>								
		<p>აქტივობა 3.3.3: ეროვნულ დონეზე ღონისძიებებში მონაწილეობა</p>	<p>მოხსენებითი ბარათი, ბრძანება, წერილი</p>	<p>ფიზიკური მომზადების განყოფილება</p>								
		<p>აქტივობა 3.3.4: სამინისტროს შიდაუწყებრივ და უწყებათაშორის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა</p>	<p>მოხსენებითი ბარათი, ბრძანება, წერილი</p>	<p>ფიზიკური მომზადების განყოფილება</p>								
		<p>აქტივობა 3.3.5: საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობა</p>	<p>მოხსენებითი ბარათი, ბრძანება, წერილი</p>	<p>ფიზიკური მომზადების განყოფილება , იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, შტაბის G-5 სამსახური</p>								
<p>ქვეამოცანა 3.4: სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება</p>	<p>აქტივობა 3.4.1: სპორტული ინვენტარის განახლება და დაკომპლექტება</p>	<p>მოხსენებითი ბარათები, ფოტო მასალა</p>	<p>აკადემიის შტაბი, ფიზიკური მომზადების განყოფილება</p>							<p>ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი</p>		
	<p>აქტივობა 3.4.2: საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია</p>	<p>მოხსენებითი ბარათები, ფოტო მასალა</p>										
	<p>აქტივობა 3.4.3: დაბრკოლებათა ზოლის გაუმჯობესება</p>	<p>მოხსენებითი ბარათები, ფოტო მასალა</p>										

<p>ქვემოცანა 3.5: სპორტული აქტივობების ინტენსიფიკაცია</p>	<p>აქტივობა 3.5.1: სპორტული აქტივობების-შეჯიბრებების ჩატარება</p>	<p>მოხსენებითი ბარათები, ბრძანებები</p>	<p>ფიზიკური მომზადების განყოფილება</p>							<p>ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი</p>
	<p>აქტივობა 3.5.2: სპორტული სექციების ორგანიზება</p>	<p>მოხსენებითი ბარათები, სპორტულ აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაცია, მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ბრძანებები</p>								
	<p>აქტივობა 3.5.3: სხვადასხვა სპორტული სახეობების და აქტივობების პოპულარიზაცია</p>	<p>შეტყობინება, ბრძანება, ინფორმაცია ელექტრონულ პლატფორმებზე</p>								
	<p>აქტივობა 3.5.4: კოორდინაცია პარტნიორ უწყებებთან და ადგილობრივ/საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან</p>	<p>მოხსენებითი ბარათები, ჩატარებული ღონისძიებების და მათში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა</p>	<p>ფიზიკური მომზადების განყოფილება, შტაბის G-5 სამსახური</p>							

სტრატეგიული მიზანი N2 - საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება (სამხედრო/აკადემიური)

ამოცანა	ქვეამოცანა	აქტივობა	ინდიკატორი	პასუხ. უწყება	ვალები და ბიუჯეტი						დაფინანს. წყარო	რისკები
					2023				2024	2025		
					I	II	III	IV				
					843,246.00	906,318.00	912,416.00	844,699.00	3,820,723.00	4,178,103.00		
ამოცანა N1: აკადემიის სამხედრო/აკადემიური და სხვა პროგრამების განვითარება	ქვეამოცანა 1.1: პროგრამების მუდმივი განახლება/განვითარება/ შეფასება არსებული სიახლეების შესაბამისად	აქტივობა 1.1.1: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა	ჩატარებული კვლევები/კითხვარები /ფოკუს-ჯგუფები/უკუკავშირის დოკუმენტები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, G-1 სამსახური							ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	1. აკადემიის ავტორიზაციის და/ან საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის გაუმჯობესება. 2. პროგრამების განმახორციელებელი კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა/შენარჩუნების დაბალი მაჩვენებელი. 3. კვლევის არარეპრეზენტატიულობა. 4. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისთვის საკმარისი რესურსების არქონა.
		აქტივობა 1.1.2: პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევა, იუნკერების/მსმენელების კმაყოფილების კვლევა	კვლევის დოკუმენტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური								
		აქტივობა 1.1.3: პროგრამების შედარებითი ანალიზის დოკუმენტის შედგენა	შედარებითი ანალიზის დოკუმენტაცია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა								
		აქტივობა 1.1.4: თავდაცვის სამინისტროს სისტემის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი, საგანმანათლებლო მიმართულებით არსებული მოთხოვნების პროგრამებში ასახვა	აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამები	ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური								

		<p>აქტივობა 1.1.5: სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი</p>	<p>მონიტორინგის დასკვნა</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიის შტაბის G3-G2 სამსახურის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო განყოფილებები</p>								
		<p>აქტივობა 1.1.6: ახალი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები</p>	<p>ბაკალავრიატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული ერთეულები</p>								
		<p>აქტივობა 1.1.7: ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა, კვალიფიკაციით-ინჟინერიის ბაკალავრი საავიაციო ინჟინერიაში</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები</p>	<p>ბაკალავრიატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული ერთეულები</p>								
	<p>ქვემოცანა 1.2: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება</p>	<p>აქტივობა 1.2.1: საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების მომზადება</p>	<p>თვითშეფასების დოკუმენტი</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული ერთეულები</p>								
		<p>აქტივობა 1.2.2: სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების დოკუმენტის წარდგენა სტანდარტების დასაკმაყოფილებლად</p>	<p>თვითშეფასების დოკუმენტი, თანდართული დოკუმენტაცია</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული ერთეულები</p>							ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	
		<p>აქტივობა 1.2.3: ავტორიზაციის ანგარიშის მომზადება</p>	<p>წერილი, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დასკვნა</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული ერთეულები</p>								

ქვემოცანა 1.3: ხარისხის გარე მექანიზმების განვითარება	აქტივობა 1.3.1: დარგის გარე ექსპერტების მოწვევა საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით	პროგრამების გარე შეფასება	ხარისხის უზრუნველყო ფის სამსახური, G-5 სამსახური, ბაკალავრიატი								ეროვნულ თავდაც ვის აკადემი ის ბიუჯეტ ი
	აქტივობა 1.3.2: კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართვა გარე შეფასების მექანიზმებში	კვლევის დოკუმენტი	ხარისხის უზრუნველყო ფის სამსახური, G-1 სამსახური, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა								
ქვემოცანა 1.4: სპეციალური პროფესიული, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ სტანდარტების დაკმაყოფილება	აქტივობა 1.4.1: თავდაცვის ძალების საჭიროებების შესაბამისად სპეციალური, პროფესიული პროგრამების შემუშავება/განახლება	აკადემიური საბჭოს დადგენილებები	ხარისხის უზრუნველყო ფის სამსახური, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა								ეროვნულ თავდაც ვის აკადემი ის ბიუჯეტ ი
	აქტივობა 1.4.2: საგანმანათლებლო პროგრამების გაგზავნა J-7 დეპარტამენტში, საქართველოს თავდაცვის სა მინისტროს სისტემაში	საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები	ხარისხის უზრუნველყო ფის სამსახური, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, აკადემიის შტაბის G3-G2 სამსახურის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო განყოფილებებ ი								
ქვემოცანა 1.5: პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული	აქტივობა 1.5.1: პერსონალის საჭიროებების დადგენა	პერსონალის შეფასების დოკუმენტი, საჭიროების კვლევა	ხარისხის უზრუნველყო ფის სამსახური,								ეროვნულ თავდაც ვის აკადემი

	გადამზადების ხელშეწყობა	აქტივობა 1.5.2: ტრენინგების დაგეგმვა და ორგანიზება აკადემიის აკადემიური/მოწვეული პერსონალის/ ინსტრუქტორ-მასწავლებლებისათვის	ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური								ის ბიუჯეტი	
	ქვემოცანა 1.6: აკადემიური სასწავლო სივრცის თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვა	აქტივობა 1.6.1: მექანიკის/ავიაციის ინჟინერიის მიმართულების და უცხო ენების ლაბორატორიების განახლება	შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოხსენებითი ბარათები	აკადემიის შტაბი, ბაკალავრიატი								ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	
	ქვემოცანა 1.7: ბიბლიოთეკის განვითარება	აქტივობა 1.7.1: საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციის შექმნა	აკადემიური საბჭოს დადგენილება, აღრიცხვის დოკუმენტები	ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური								ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი	
აქტივობა 1.7.2: სამეცნიერო ბაზებზე წვდომის ხელშეწყობა	ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ყოველ წელს, I და III კვარტალი)	აკადემიის შტაბი, ბიბლიოთეკა											
აქტივობა 1.7.3: საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანა პროგრამების/სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალასთან და წყაროებთან	აღწერის დოკუმენტაცია, მოხსენებითი ბარათი, სასწავლო კურსების სილაბუსები	ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური											
